



სსიკ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

აკადემიური და მოწვეული პერსონალის
რაოდენობის განსაზღვრის წესი

გორი
2018 წელი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს წესი სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში-აკადემია) განსაზღვრავს აკადემიის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესსა და მეთოდოლოგიას.

2. აღნიშნული წესი შემუშავებულია საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №65/ნ, საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების და საფასურის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. აკადემიური საბჭო - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
2. პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს იუნკერების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
3. ასოცირებული პროფესორი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს იუნკერების/მსმენელების სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით მუშაობას;
4. ასისტენტ - პროფესორი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო - კვლევით პროცესში;
5. ასისტენტი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ - პროფესორის ხელმძღვანელობით;
6. მოწვეული სპეციალისტი-აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, აკადემიის საჭიროებიდან გამომდინარე მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი;
7. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) - უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო

კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, იუნკერთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, მათ შორის, ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 3. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და აკადემიის წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
3. კონკურსის ჩატარების წესი განსაზღვრულია აკადემიაში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება იუნკერთა რაოდენობის და პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით;
2. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ამომავალ საკითხს წარმოადგენს იუნკერებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა, პროგრამის განხორციელების საჭიროება და მისი განვითარების შესაძლებლობები.
3. სამტატო ნუსხით ყველა აკადემიური პროგრამისთვის გათვალისწინებულია აკადემიური თანამდებობები-პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი.
4. პირი, რომელიც არჩეულია აკადემიურ თანამდებობაზე, უნდა ასწავლიდეს მინიმუმ ორ სასწავლო კურსს და ხელმძღვანელობდეს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს.
5. აკადემიური პერსონალის დატვირთვა გაწერილია აკადემიური პერსონალს დატვირთვის წესში.
6. აკადემიურ თანამდებობებზე არჩევისას ეროვნული თავდაცვის აკადემია მოქმედებს ღიაობის, გამჭვირვალობის, არჩევანის თავისუფლებისა და სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად ხარჯვის პრინციპებით;
7. თუ სამტატო განრიგში არ არსებობს სათანადო ვაკანტური თანამდებობა, აკადემიური საბჭო შუამდგომლობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან სამტატო განრიგში შესაბამისი ცვლილების შეტანის თხოვნით.

8. აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის შესახებ წინადადების ინიცირება შეუძლია:
- ა) აკადემიურ საბჭოს;
 - ბ) პროგრამის ხელმძღვანელს;
 - გ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელს;

მუხლი 5. მოწვეული სპეციალისტის სამსახურში მიღების წესი

1. საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელი აკეთებს განაცხადს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მოწვევის შესახებ;
2. მოთხოვნა თანხმდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან;
3. სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების წესის შესაბამისად ცხადდება კონკურსი;

მუხლი 6. სამიზნე ნიშნულები

აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრას გამოიყენებს შემდეგ ინდიკატორებს:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების პერსონალის მთლიან რაოდენობასთან;
- აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან;
- აკადემიური პერსონალის თანაფარდობა აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა იუნკერების რაოდენობასთან;
- აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა იუნკერების რაოდენობასთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამებთან მიმართებით;
- აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამებთან მიმართებით;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი;

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებისთვის (კვალიფიკაციის ამაღლებისთვის) გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა აკადემიის მთლიან ბიუჯეტთან;

მუხლი 7. წესის მიღების და გაუქმების უფლებამოსილება.

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს, ცვლის და აუქმებს აკადემიის აკადემიური საბჭო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით.